

2 ივნისს დაიწყო ზეიმების ოფიციალური ღონისძიებები. მათში მონაწილეობა მიიღეს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებმა: დაბრობოსანის მიტროპოლიტმა ქრიზოსტომმა, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ეპისკოპოსმა სილუანემ, მილუშევის ეპისკოპოსმა ათანასემ, რაშკო-პრიზრენის ეპისკოპოსმა თეოდოსიმ, ვალევის ეპისკოპოსმა ისიქიოსმა, ზახუმ-ჰერცოგოვინისა და პრიმორსკის ეპისკოპოსმა დიმიტრიმ, ბუდიმლიან-ნიკშიჩის ეპისკოპოსმა მეთოდემ, დიოკლიის ვიკარულ ეპისკოპოსად არჩეულმა პროტოსინგელმა პაისიმ, ასევე სამღვდლოებამ, სამონაზვნო დასმა და ერისკაცებმა.

მე-17 საუკუნის მოღვაწის, ღირსი სტეფანე პიპერსკის ხსენების დღეს ეპისკოპოსმა კირილემ **თანამწირველობა** გაუწია მიტროპოლიტ იოანიკეს ჩელია-პიპერსკის მონასტერში, სადაც განისვენებს წმინდანის წმინდა ნემტი. წირვის დასრულების შემდეგ მიტროპოლიტმა იოანიკემ მადლობა გადაუხადა ეპისკოპოს კირილეს ერთობლივი ლოცვისა და ჩერნოგორიაში ჩასვლისთვის, რათა ამ მნიშვნელოვანი დღესასწაულის სიხარული სერბეთის ეკლესიასთან ერთად გაეზიარებინა.

იმავე დღეს, პოდგორიცაში, ქრისტეს აღდგომის საკათედრო ტაძრის საძვალეში, **საზეიმო ღონისძიებები** გაიმართა ღირსი იუსტინეს (პოპოვიჩი) დაბადების 130 წლისთავის, გარდაცვალების 45 წლისთავისა და წმინდა ნემტის მოპოვების 10 წლისთავის დღესთან დაკავშირებით, ასევე მიტროპოლიტ იოანიკეს იერარქიული მსახურების 25 წლის იუბილის აღსანიშნავად.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა სერგიევ-პოსადისა და დიმიტროვის ეპისკოპოსმა კირილემ. თავის მიმართვაში მიუფემ გაიხსენა წმიდა იუსტინეს (პოპოვიჩი) აღთქმები სლავური ხალხების ერთობის შესახებ ქრისტეს დასამონებლად, მართლმადიდებელი ეკლესიის ერთმთლიანობისა და ერთმანეთთან ცოცხალი ურთიერთობის აუცილებლობის შესახებ, ასევე ხაზი გაუსვა წმინდანის ღვაწლის მასშტაბებს: „ღირსმა იუსტინემ მხოლოდ პოლიტიკური მოვლენების გამო ვერ შეძლო დაესრულებინა სწავლის კურსი პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. სანკტ-პეტერბურგისა და მოსკოვის სასულიერო აკადემიებში უკვე დაიცვეს ღირსი იუსტინეს რამდენიმე საღვთისმეტყველო ნაშრომი. ვფიქრობ, ასეთი ნაშრომების რიცხვი გაიზრდება, რადგან ამ წმინდანის მემკვიდრეობა მართლაც უზარმაზარია“.

3 ივნისს, წმიდა მოციქულთასწორთა მეფე კონსტანტინესა და მისი დედის, დედოფალ ელენეს ხსენების დღეს, ჩერნოგორიისა და პრიმორსკის მიტროპოლიტ იოანიკის საეპისკოპოსო ქიროტონის 25 წლისთავზე, პოდგორიცეში, ქრისტეს აღდგომის საკათედრო ტაძარში **აღევლინა** საღმრთო ლიტურგია. წირვის დასრულების შემდეგ მიტროპოლიტმა იოანიკემ მადლობა გადაუხადა თანამწირველ მღვდელთმთავრებსა და სამღვდლოებს ერთობლივი ლოცვისთვის და ყველას სიხარული და ღვთის შემწეობა უსურვა. იგი განსაკუთრებით მიესალმა სამება-სერგიევის ლავრის მმართველ ეპისკოპოს კირილეს.

4 ივნისს სერგიევ-პოსადისა და დიმიტროვის ეპისკოპოსმა კირილემ საღმრთო ლიტურგიაზე თანამწირველობა გაუწია მიტროპოლიტ იოანიკეს მოწამე იოანე-ვლადიმირის საკათედრო ტაძარში, ქალაქ ბარში. ამ დღეს ეკლესია პატივს მიაგებს სერბეთის მთავრის, მოწამე იოანე-ვლადიმერის ხსოვნას. წმინდანი მე-10 საუკუნეში მართავდა ჩერნოგორიას და ქალაქ ბარის ზეციურ მფარველად ითვლება.

ლიტურგიის დასასრულს ეპისკოპოსმა კირილემ მლოცველებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა. მეუფემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუს და სერბ ხალხებს შორის საუკუნოვანი ურთიერთობა და სულიერი ერთობა – ეს არის ღვთის დიდი კურთხევა. მან ასევე აღნიშნა, რომ წმიდა იოანე-ვლადიმერის და კეთილმორწმუნე მთავართა-ვნებათდამთმენელთა ბორისისა და გლების ცხოვრება მსგავსია: „როგორც იოანე-ვლადიმერი, ასევე ძმები ბორისი და გლები შურის გამო ევნენ. მათი ცხოვრება უდიდესი ძალისა და სიბრძნის უმაღლესი გამოვლინებაა – მათ ბოროტება სიკეთით დაამარცხეს“.

იმავე დღის **სალამოს** ეპისკოპოსმა კირილემ მიტროპოლიტ იოანიკეს თანამსახურება გაუწია მწუხრის ღვთისმსახურებაზე, რის შემდეგაც მონაწილეობა მიიღო საერთო-სახალხო ჯვრით მსვლელობაში. ლოცვითი მსვლელობა გაიმართა წმინდა იოანე-ვლადიმერის დღეების ღონისძიებების ფარგლებში. აღნიშნულ ღონისძიებებზე შეიკრიბნენ ქალაქის მცხოვრებნი და ჩერნოგორიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მორწმუნენი.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/91847/>